# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**სწავლების ენა:** ქართული, აგრეთვე ინგლისური.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (Master in International Law)

**პროგრამის მოცულობა:** 120 ECTS კრედიტი.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ლევან ალექსიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი; იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- უცხო ენასა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული B2 დონე) და სპეციალობაში გამოცდების ჩაბარება.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო სამართლის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს მიეცემა შესაძლებლობა, გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის ისეთ სფეროებში, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო სისხლის სამართალი, დიპლომატიური სამართალი, საკონსულო სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართალში, ა.შ.

**სწავლის შედეგები:**

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ საერთაშორისო მაგისტრი იძენს საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარს. მასტრი ასევე შეიძენს სხვა კომპეტენციებს:

დარგობრივი:

- სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა;
- სამეცნიერო კვლევის განხორცილების უნარი;
- სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების უნარი;
- გამოსაყენებელი სამართლებრივი ბაზის სწორად განსაზღვრისა და შეფარდების გზით პრობლემების სწრაფი გადაჭრის უნარი.

ზოგადი:

- მიღებული ცოდნის სრულყოფილად წარმოჩენის უნარი;
- საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი;
- დროისა და შესაძლებლობების ეფექტური გამოყენების უნარი;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი;
- პრობლემურ სიტუაციებში ქმედითი, სწრაფი და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების უნარი;
- სადოქტორო პროგრამისათვის აუცილებელი სამეცნიერო კვლევის უნარს.

**დასაქმების სფერო:** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი შეძლებს საჯარო სამსახურში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ სექტორში პროფესიული საქმიანობის განხორციელებას მაღალკვალიფიციურ დონეზე.

სამაგისტო პროგრამის კურსდამთავრებულებს საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის პარალელურად შესაძლებლობა აქვთ საქართველოში მოსამართლის, პროკურორისა და ადვოკატის პროფესიებით საქმიანობისა. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სახელმწიფო სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარება რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად. ცალკეული პროფესიისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობები.

**საგანმანათლებლო პროგრამის საგნების ჩამონათვალი და თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა:**

## სასწავლო გეგმა

სასწავლო პროგრამა შედგება:

ა) პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული მინიმუმ 34-კრედიტიანი კომპონენტებისა და

ბ) სამეცნიერო-კვლევითი და თეორიული 56-კრედიტიანი კომპონენტისაგან, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს მოეთხოვება სამეცნიერო წერის კულტურის სწავლებაზე მიმართული მინიმუმ 14-კრედიტიანი კომპონენტის დაძლევა (წინასამაგისტრო ნაშრომის შესრულება) და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომელიც ფასდება 30 კრედიტით.

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან:

I სემესტრი

|  | კურსი | საგნის სტატუსი | კრედიტი | მასწავლებელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა | სავალდებულო | 5 | ირინე ქურდაძე |
| 2 | საერთაშორისო სამართლის როლი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში | სავალდებულო | 10 | ლევან ალექსიძე |
| 3 | საერთაშორისო სისხლის სამართლის აქტუალური თეორიული პრობლემები | სავალდებულო | 5 | ქეთევან ხუციშვილი |
| 4 | ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები | სავალდებულო | 5 | გაგა გაბრიჩიძე |
| 5 | საერთაშორისო საზღვაო სამართალი და საქართველო (თეორია და პრაქტიკა) | სავალდებულო | 5 | ეკატერინე სირაძე |
| **სემესტრში დაგროვილი კრედიტები** |  |  | **30** |  |

II სემესტრი

|  | კურსი | საგნის სტატუსი | კრედიტი | მასწავლებელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი | სავალდებული | 5 | ირინე ბართაია |
| 2 | საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო მართლმსაჯულების პრაქტიკაში | სავალდებულო | 5 | ქეთევან ხუციშვილი |
| 3 | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | სავალდებულო | 4 | ნათია კალანდარიშვილი |
| 4 | აკადემიური წერის საფუძვლები | სავალდებულო | 4 | ირინე ბართაია |
| 5 | საერთაშორისო სტანდარტები ადამიანით ვაჭრობასა და ოჯახში | სავალდებულო | 4 | ქეთევან ხუციშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ძალადობასთან ბრძოლის სფეროში | | | |
| 6 | ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები (ინგლისურად) | სავალდებულო | 8 | ბაბუცა პატარაია |
| **სემესტრში დაგროვილი კრედიტები** | | | **30** | |

III სემესტრი

| | კურსი | საგნის სტატუსი | კრედიტი | მასწავლებელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ძალის გამოყენება და საერთაშორისო სამართალი | სავალდებულო | 5 | ირინე ბართაია |
| 2 | კლინიკა: საერთაშორისო სტანდარტები ადამიანით ვაჭრობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში | სავალდებულო | 10 | ქეთევან ხუციშვილი |
| 3 | აკადემიური წერა | სავალდებულო | 10 | ირინე ბართაია |
| 4 | კავკასიის სახელმწიფოების შედარებითი პოლიტიკა გლობალურ კონტექსტში | სავალდებულო | 5 | მალხაზ მაცაბერიძე |
| **სემესტრში დაგროვილი კრედიტები** | | | **30** | |

IV სემესტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულო | 30 | თემის ხელმძღვანელი პროფესორი |

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

| ქულები | შეფასება |
|---|---|
| 91-100 | ფრიადი, A |
| 81-90 | ძალიან კარგი, B |
| 71-80 | კარგი, C |
| 61-70 | დამაკმაყოფილებელი, D |
| 51-60 | საკმარისი, E |
| 41-50 | ვერ ჩააბარა, FX |
| 0-40 | ჩაიჭრა, F |

**შენიშვნა: გათვალისწინებულია პროგრამაში საზღვარგარეთის ცნობილი უნივერსიტეტებიდან მოწვეულ პროფესორთა მონაწილეობა.**